

## ნიკიტა მენდკოვიჩი:

# რუსეთს საქართველოდან არაერთი ხიფათი ემუქრება! საქართველოში ამაზე უნდა დაფიქრდნენ!

***როგორ მოჩანს მოსკოვიდან რუსულ-ქართული ურთიერთობა საქართველოს ნატო-სკენ სწრაფვის და თურქეთთან სტრატეგიული თანამშრომლობის ხელშეკრულების ფონზე? რას მოიმოქმედებს მოსკოვი ურთიერთობის გამწვავების შემთხვევაში? — ექსკლუზიურად გვესაუბრება ევრაზიის ანალიტიკური კლუბის დირექტორი, თანამედროვე ავღანეთის საკითხთა მკვლევარი, ცნობილი რუსი პოლიტოლოგი ნიკიტა მენდკოვიჩი:***

— არ ვიცი, რისი იმედი აქვთ საქართველოში, თუმცა, ევრაზიელი ექსპერტები დარწმუნებულები ვართ, რომ არამცთუ უახლოეს წლებში, არამედ უახლოეს ათწლეულშიც კი საქართველო **ნატო**-ში სრულუფლებიან წევრად ვერ შევა! სწორედ ამიტომ რუსები ამ პერსპექტივას არ განიხილავენ არც დადებით, არც უარყოფით რაკურსში. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთისთვის და ევრაზიული სივრცის ქვეყნებისთვის გარკვეულწილად გამაღიზიანებელია **ნატო**-სთან საქართველოს თანამშრომლობის რამდენიმე ასპექტი, თუნდაც, ლუგარის სახელობის ლაბორატორიის არსებობა თბილისში, რომელიც პერსპექტივაში რუსეთთან დასაპირისპირებლად გახსნეს ამერიკელებმა.

**— რა საფრთხე შეიძლება ემუქრებოდეს ამ ლაბორატორიიდან რუსეთს?**

— 2011 წელს ამერიკელთა პატრონაჟით გახსნილი ამ ობიექტის მუშაობა თავიდანვე გასაიდუმლოებული იყო. **ამჟამად ლაბორატორია იურიდიულად საქართველოს ბალანსზეა, თუმცა, იქ მუშაობას აგრძელებენ ბიოლოგიური იარაღის ამერიკელ სპეციალისტთა ჯგუფები, რაც თავისთავად უამრავ კითხვას აჩენს.** ლაბორატორიაში ვირუსების შტამების შესწავლა ხდება და ჩვენ გვაქვს საფუძველი დასკვნისთვის, რომ იქმნება ბიოლოგიური იარაღი, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ არის მიმართული. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ აღნიშნული ლაბორატორია კავკასიის მთელი რეგიონისთვისაც საფრთხეს წარმოადგენს — მცირედი შეცდომაც საკმარისი იქნება უმძიმესი დაავადებების გასავრცელებლად! ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ ლუგარის სახელობის თბილისის ლაბორატორიაში მზადდება იარაღი, რომლითაც შეიძლება მოწინააღმდეგისთვის არა მხოლოდ საბრძოლო, არამედ ეკონომიკური ასპექტით ზიანის მიყენებაც, რადგან იქ გამოყვანილ ვირუსებს შინაური ცხოველების განადგურება შეუძლიათ. **ასეთ დივერსიულ პრაქტიკას აშშ რა ხანია, ახორციელებს რიგ ქვეყნებში, გამოჰყავთ რა სპეციალური ვირუსები ღორების წინააღმდეგ. რუსეთის სამხრეთ რეგიონში რამდენჯერმე ძალზე საეჭვოდ იფეთქა დაავადებამ და მოსახლეობას მასობრივად დაეხოცა ღორები.**

არსებობს არცთუ უსაფუძვლო ვარაუდი, რომ კვალი ლუგარის სახელობის თბილისის ლაბორატორიასთან მიდის! მეორე საკითხია, რომ შესაძლებელია, ლუგარის ლაბორატორია მავანმა სამხედრო დაპირისპირების მიზნით გამოიყენოს და პოტენციურ მოწინააღმდეგეს — რუსეთს, შესაძლოა, ჩინეთსაც — ბიოლოგიური და ბაქტერიოლოგიური იარაღი დაუპირისპიროს!

აშშ გამალებით ცდილობს ბიოლოგიური იარაღის დასამზადებელი ლაბორატორიების სხვადასხვა რეგიონში შექმნას, აი, რეალური პოტენციური საფრთხე, რომელიც საქართველოსა და ამერიკის თანამშრომლობის შედეგად რუსეთს ემუქრება!

**— საქართველომ თურქეთთან სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულება გააფორმა. როგორია ამ საკითხის მიმართ რუსეთის დამოკიდებულება?**

— რუსეთს და თურქეთს ამ ეტაპზე ერთმანეთთან საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა აქვთ და, რა თქმა უნდა, რუსეთი სიხარულით ვერ აღიქვამს მის პოტენციურ მოწინააღმდეგესთან საქართველოს დაძმობილებას, მითუმეტეს, რომ ხელშეკრულება სამხედრო თანამშრომლობის საკითხებსაც მოიცავს. თურქეთთან ამ ხელშეკრულების ფორმატში შესაძლოა, საქართველოში **ნატო**-ს სასწავლო ცენტრის გახსნაზე ლაპარაკი კვლავ განახლდეს.

**ვიდრე საქართველო ნატოსკენ შეღებულ ფანჯარას წარმოადგენს, რაც თურქეთ-საქართველოს შორის ასეთი ხელშეკრულებებით გამოიხატება, ცხადია, რუსეთი მშვიდად ვერ იქნება.** ჩვენთვის არაფერს ნიშნავს, რომ საქართველოს **ნატო**-ში არ იღებენ. ამის მიუხედავად, საქართველოდან რუსეთს მაინც არაერთი ხიფათი ემუქრება — აქ ეს არის მთავარი! **ნატო**-სთვის საქართველო პერსპექტივაში რუსეთთან სამხედრო დაპირისპირების პლაცდარმად მოიაზრება.

სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში საქართველოს დაზვერვა რუსეთის სამხრეთში სიტუაციის შესწავლით იყო დაკავებული და არ გამოვრიცხავ, რომ თურქეთმა მათი მოპოვებული ინფორმაციები გამოიყენოს, ჩრდილოეთ კავკასიაში ისლამისტი რადიკალების მისწრაფებები საკუთარ ინტერესებს მოარგოს. **თურქეთის სპეცსამსახურები საქართველოს, კონკრეტულად — აჭარის ტერიტორიაზე განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩევიან. მათ კავშირი აქვთ რადიკალურ ისლამისტურ წრეებთან და საქართველოში საკუთარი გავლენის სფეროს აყალიბებენ, რაც რუსეთთან ერთად, საქართველოსაც მნიშვნელოვან საფრთხეებს უქადის.** არ ვამბობ, რომ ერდოღანი უახლოეს წლებში ამას დააპირებს, მაგრამ უკვე აშკარად იკვეთება საქართველოდან აჭარის გამოყოფის და თურქეთის ხელშეწყობით კვაზი სახელმწიფოს შექმნის პერსპექტივა! **ნატო**-ს ზურგით თურქეთი ყოველთვის შეეცდება საკუთარი პოზიციების გამყარებას, ამდენად, **ნატო** საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გარანტად ვერ გამოდგება.

საქართველოში ახალი ხელისუფლების არჩევის შემდეგ რუსეთთან ურთიერთობა დათბა, თუმცა, რუსეთ-თურქეთის შორის დაპირისპირების ფონზე, როცა საქართველო რუსეთის საწინააღმდეგო პლაცდარმად მოიაზრება, როცა ქართულ-თურქული ურთიერთობა სამხედრო, დაზვერვის და სხვა სტრატეგიული ასპექტებით ვითარდება, ცხადია, რომ რუსეთი თქვენს ქვეყანას კეთილმოსურნედ ვერ განიხილავს. **სირიის კონფლიქტის გამწვავების პარალელურად, რუსეთ-საქართველოს შორისაც სულ უფრო მეტი უნდობლობა დაისადგურებს.**

**— თუ რუსეთსა და თურქეთს შორის შეიარაღებული დაპირისპირება დაიწყება, რა მოხდება საქართველოში?**

— საქართველო მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება, რადგან ცალკე რუსეთი და ცალკე თურქეთი თავიანთ რესურსებს უკლებლივ აამოქმედებენ. რუსეთი აუცილებლად გამოიყენებს აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის" ტერიტორიებს თავისი პოზიციების დასაცავად. **თუ თურქეთი საქართველოში ჯარის შემოყვანას შეეცდება, გამორიცხული არ არის, რუსეთმა თავისი შეიარაღებული ძალები საქართველოს სხვა რეგიონებშიც შეიყვანოს.** ანგარიშგასაწევია ჯავახეთის რეგიონი, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ სომხები, ხოლო თავად სომხეთი ევრაზიული გაერთიანების წევრი და რუსეთის მოკავშირეა. ამდენად, კონფლიქტის შემთხვევაში იქაურ მოსახლეობას თავისი მყარი, ერთსულოვანი პოზიცია ექნება, რამაც შესაძლოა, ამ კუთხის საქართველოსგან ჩამოცილებასაც კი შეუწყოს ხელი. **ვიმეორებ, რომ რუსეთი საკუთარი, ასევე, მოკავშირეების უსაფრთხოებას გამალებით დაიცავს და თურქეთის პარტნიორი საქართველო ასეთი ომის შემთხვევაში ყველაზე მეტად დაზარალდება.** ამიტომ ქართველი ხალხი, საქართველოს ხელისუფლება დროულად უნდა დაფიქრდეთ, თუ რა შედეგები შეიძლება მოგიტანოთ რუსეთის პოტენციურ მოწინააღმდეგესთან სტრატეგიულ საკითხებში თანამშრომლობამ... სხვათაშორის, ამან ომის გარეშეც შეიძლება საქართველო აზარალოს, რადგან შესაძლოა, რუსეთმა საქართველოსთან უვიზო ურთიერთობის პოლიტიკას ისევ გადახედოს და ეს პროექტი, მინიმუმ, რეგიონში სტაბილიზაციის მიღწევამდე გადადოს. მართლაც, **თუ საქართველო ნატო-სკენ ღია ფანჯარაა, რუსეთმა რატომ უნდა მისცეს თურქულ სპეცსამსახურებს ამ ფანჯრიდან რუსეთში შეღწევის საშუალება?**

**— რა როლი აქვს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გამწვავებაში უკრაინაში გადახვეწილ სააკაშვილს? დაუშვებს რუსეთი საქართველოში სააკაშვილის რეჟიმის რეანიმაციას?**

— რეჟიმის რეანიმაციას მხოლოდ ქართველი ხალხის ნება შეიძლება შეეწინააღმდეგოს, რუსეთი ამ მხრივ ვერაფერს იზამს. ქართველმა ხალხმა უნდა განსაზღვროს ის რაციონალური საგარეო პოლიტიკა, რაც მისმა არჩეულმა ხელისუფლებამ უნდა აწარმოოს. რუსეთში ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ სააკაშვილის რეჟიმის საქართველოში რეანიმაციის პერსპექტივა მართლაც არსებობს. **სააკაშვილის გარემოცვას უკრაინაში „საქართველოს გათავისუფლების შტაბი" აქვს შექმნილი და კიევის, ლვოვის, ოდესის ინფრასტრუქტურები მათ სასარგებლოდ მუშაობენ.** უკრაინაში უამრავი საბრძოლო შენაერთია, რომლებსაც ადგილობრივი ხელისუფლება ფორმალურად თუ არაფორმალურად ვერ აკონტროლებს და ნებისმიერ დროს შეიძლება, ეს ჯგუფები საქართველოში ხელისუფლების ხელში ჩაგდების და შეიარაღებული გადატრიალების მიზნით გადმოტყორცნონ. ზუსტად ვიცი, რომ ასეთი გადატრიალებით რუსეთი არ არის დაინტერესებული და თუ რუსეთის სპეცსამსახურებისთვის ასეთი ოპერაციის მომწიფების შესახებ გახდება ცნობილი, ისინი ქართველ კოლეგებს აუცილებლად შეატყობინებენ, მაგრამ რუსეთში დარწმუნებული არ არიან, რომ საქართველო ამის წინააღმდეგ გადამწყვეტ ზომებს მიიღებს!

**— რას უსურვებთ ქართველ ხალხს?**

— გისურვებთ, პრობლემებს სიბრძნით მიუდგეთ, რათა წარსულის შეცდომები აღარ გაიმეოროთ. თურქეთისა და ამერიკის კი არა, პირველ რიგში, თქვენი ქვეყნის — საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედოთ, ყველა სიტუაციაში საკუთარი პოზიციების შესაბამისი გზა იპოვოთ, რადგან მორიგი შეცდომის დაშვების შემთხვევაში თავსაც დაიზარალებთ და მეზობელ ქვეყნებსაც, ხოლო ამით მოგებულები ჩვენი საერთო მოწინააღმდეგეები დარჩებიან!

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

**„ანგარიშგასაწევია ჯავახეთის რეგიონი, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ სომხები, ხოლო თავად სომხეთი ევრაზიული გაერთიანების წევრი და რუსეთის მოკავშირეა. ამდენად, კონფლიქტის შემთხვევაში იქაურ მოსახლეობას თავისი მყარი, ერთსულოვანი პოზიცია ექნება, რამაც შესაძლოა, ამ კუთხის საქართველოსგან ჩამოცილებასაც კი შეუწყოს ხელი!"**

**„ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ ლუგარის სახელობის თბილისის ლაბორატორიაში მზადდება იარაღი, რომლითაც შეიძლება მოწინააღმდეგისთვის არა მხოლოდ საბრძოლო, არამედ ეკონომიკური ასპექტით ზიანის მიყენებაც, რადგან იქ გამოყვანილ ვირუსებს შინაური ცხოველების განადგურება შეუძლიათ!"**



## კვირგვინოსნები

**დავით ბაქრაძე**
*„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი*



**ჩვენ გვინდა, მკაფიოდ განვაცხადოთ, რომ „გაზპრომი" რუსული წყვდიადი, გაყინული და ჩაბნელებული საქართველოა. ხელისუფლება აპირებს ქვეყნის დაბრუნებას უკან, რუსულ წყვდიადში.**

„ნიუსპრესი"

**ჯონდი ბაღათურია**
*„ქართული დასის" ლიდერი*



**პარტია, რომლის მიმართ საზოგადოებაში არის ნეგატიური განწყობა, ივანიშვილმა მოიყვანა ქვეყნის სათავეში! რესპუბლიკელები კი თვალს არ დაახამხამებენ, ისე მოექცევიან ივანიშვილს, როგორც ჟვანია და სააკაშვილი მოექცნენ შევარდნაძეს.**

„ახალი თაობა"

**თორნიკე შარაშენიძე**
*პოლიტოლოგი*



**რუსეთი ვიზალიბერალიზაციაში ხელს ვერ შეგვიშლის. თუ ხელისუფლებამ დემოკრატია უხეშად დაარღვია, ევროპა დიდი ხნით შეგვაქცევს ზურგს.**

„ახალი თაობა"

**გია მაისაშვილი**
*„მომავლის საქართველოს" თავმჯდომარე*



**ყველაზე დიდი საშიშროება საზოგადოების დასავლეთისადმი იმედგაცრუებაა.**

„რეზონანსი"